ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2912960

ნომერი: AR1449871

თარიღი : 19.10.2016

გაცემის თარიღი : 26.10.2016

გაცნობის თარიღი : 26.10.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-11 კილომეტრის მიმდებარედ (ნაკვ.09/058) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუკრი ლიპარტაშვილი პ/ნ 13001001759
- თბილისი თ.იოსებიძის ქ. N 1 ბ. 55

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

"არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"–ს და "ფოტომონტაჟი"–ს ველებში ატვირთულ იქნას ერთი და იგივე რაკურსიდან გადაღებული და დამუშავებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი და ფოტომონტაჟი.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქონების ნაწილი იჯარის N02/2016 ხელშეკრულებითაა გადაცემული, ხოლო ნაწილი N01/2016. წარმოდგენილია 01/2016 ხელშეკრულება. შესაბამისად, იმ სამუშაოებზე, რომლებიც ხდება საჯარო რეესტრის ამონაწერში სარგებლობის გრაფაში მეორე ჩანაწერში მითითებულ ქონებაზე, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მისაღებია, ხოლო, იმ შემთხვევაში თუ ქონების სხვა ნაწილზე ხდება სამუშაოები, წარმოსადგენია ხელშეკრულება და საჭიროების შემთხვევაში, მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, აღნისნულის შესახებ ინფორმაცია განმარტეთ მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში.

მეტი თვალსაჩინოებისთვის საჭიროა წარმოდგენილ იქნას საკადასტრო გეგმა სარეკონსტრუქციო არეალის დატანით.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.